განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## არტჟურნალისტიკა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
18, 19, 20 ოქტომბერი, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

15.12.2021

თბილისი

**2021**

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ-საქართველოს შოთა რუსთველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 203851028 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | **არტჟურნალისტიკა** |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული 02.08.2012, გად. # 284 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხათუნა კაჭარავა (თავმჯდომარე)ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიო კილასონია სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი<br><br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალხაზ გაგუა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თათია უზერი კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა - არტჟურნალისტიკა - 2011 წლიდან არსებობდა, წინა სახელწოდებით - ტელემედია - თეორია და პრაქტიკა.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის მიზნია შრომის და დასაქმების ბაზარი მოამარაგოს მულტიმედიურ პლატფორმებზე სხვადასხვა ფორმის, შინაარსის და დანიშნულების სახელოვნებო პროდუქციის შემქმნელი პრაქტიკოსი ჟურნალისტებით და კვალიფიციური მკვლევრები, რომლებიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც დარგობრივი/პროფესიული, ისე ზოგადი კომპეტენციებით, ორიენტირებულები იქნებიან დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელია (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს სასწავლო კურსებს, პრაქტიკულ ნაწილს და სამაგისტრო ნაშრომს სპეციალობაში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა სულ 8, აქედან 3 - აფილირებული პროფესორი, 4- ასოცირებული პროფესორი და 1- ასისტენტ - პროფესორი; ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 18, შემოწმების პერიოდში პროგრამას ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე 6 სტუდენტები. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის ბაზას წარმოადგენს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით

აღჭურვილი აუდიტორიები, სატელევიზიო და რადიო სტუდიები, ხმის ჩამწერი და სამონტაჟო კაბინეტები, ვიდეოთეკა, დარბაზები.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, განვითარდნენ პროფესიულად და წარმატებული კარიერა შეიქმნან მედიისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სამაუწყებლო კომპანიები, ვებმაუწყებლობები, ინტერნეტგამოცემები, ბეჭდური მედია, სოციალური მედია, საინფორმაციო სააგენტოები, საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სამსახურები, კულტურულ-სახელოვნებო ორგანიზაციების პრესსამსახურები, სარეკლამო სააგენტოები, საგანმანათლებლო სივრცე, სარედაქციო საქმიანობა, ან/და გააგრძელონ სწავლა შემდგომ საფეხურზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში 18-19-20.10.2021 შემოწმების ჰიბრიდული ფორმატით ონლაინ-ინტერვიუები; მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე ჩაატარა წინასწარ მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აზრი გამოთქვეს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელოვანი ასპექტებზე, განისაზღვრა ძირითადი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუების დროს.

აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, ექსპერტთა ჯგუფი მუშაობდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირობებში. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო შემფასებლების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. სესიები მიმდინარეობდა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში. ინტერვიუები ჩატარდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიეღო.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -სრული შესაბამისობა;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - სრული შესაბამისობა;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- სრული შესაბამისობა;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა --სრული შესაბამისობა;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები -სრული შესაბამისობა.

- **რეკომენდაციები**

**2.6** რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველჰყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენეოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

**3.1** სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზნების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

**4.3** საბიბლიოთეკო ბაზა შეივსოს სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში მითითებული სახელმძღვანელოების ბეჭდური ვერსიით. პრობლემა აღმოიფხვრას უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაშიც.

**5.1** რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნას საკრედიტაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა, სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზების გასწორება და უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში ან/და ბიბლიოთეკაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მასალების ხელმისაწვდომობის საკითხი.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - **1.1** სასურველია, უდს-ს მიერ ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოება.
  - **1.2** სასურველია პროგრამის შედეგების შეფასების მონიტორინგი დამსაქმებლებთან უფრო ინტენსიური კომუნიკაციის შედეგად განხორციელდეს.
  - 2.1 სასურველია, აპლიკანტმა წამოადგინოს ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.
  - 2.1 სასურველია, წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს ერთი კონკრეტული ენა, რაც განაპირობებს დარგის შესაბამისი ლიტერატურის სრულყოფილად შეთავაზებას.
  - **2.2** სასურველია, არჩევითი საგნების ნაწილში, რომელიც სტუდენტს სთავაზობს სახელოვნებო დარგობრივ დისკურსებს, აქცენტი კეთდებოდეს საერთაშორისო

თანამედროვე არტისტულ დარგობრივ პროცესებზე და არა მხოლოდ ადგილობრივ ქართულ ხელოვნებაზე. ასევე სასურველია, ისტორიის თხრობის დროს, პარალელურად ყურადღება გამხვილდეს, თუ როგორ ეხმაურებოდნენ პუბლიცისტები და ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს. როგორ ვითარდებოდა ჟურნალისტიკაში ანალიტიკური აზრი თანამედროვე კრიტიკული ხელოვნების განვითარებასთან ერთად.

2.3 სილაბუსებში შესაძლებელია სფეროს აქტუალურ მიღწევების, უახლესი კვლევებისა და ტენდენციების შესახებ ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსისა და ზოგადად პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**3.1** სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რესურსი, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პერიოდულად მოეწყოს შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან დასაქმების ბაზრის საჭიროებების, განხილვა შესაბამისი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;

**3.1** სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა და/ან გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სასურველია გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

**3.2** სასურველია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად წესი, რომლის მიხედვით დადგინდება - პროფესორს, რომელიც სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებაში ხელმძღვანელობს, ერთდროულად რამდენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება.

**ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე**

რეკომენდაცია 1

**2.6** დაწესებულების არგუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მიდგომა მისასალმებელია და მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუმცა რეკომენდებულია, სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის მიზნით, დაწესებულების მიერ - ცალკე შემუშავებულ დოკუმენტში „ თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები" - არსებული კონკრეტული და გაზომვადი შეფასების ფორმები - შესაბამისი კრიტერიუმების და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში ინტეგრირდეს, კონკრეტული სასწავლო კურსის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია 2

**3.1** რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია 3

**4.3** უსდ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას და აღნიშნავს, რომ დაწესებულებამ ლიტერატურის სრულად შეძენა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტამდე ვერ მოასწრო და ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის სილაბუსებში დასახელებული სავალდებულო ლიტერატურის შეძენის პროცესი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს (02.08.2012, #9, გადაწყვეტილება # 284) „ტელემედია - თეორია და პრაქტიკა". ბოლო წლების განმავლობაში პროგრამა გადამუშავდა და შესაბამისობაში მოვიდა არსებულ მოთხოვნებთან, დაზუსტდა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმით: „არტჟურნალისტიკა". თანამედროვე მულტიმედია საშუალებები პრიორიტეტს იმ ჟურნალისტებს ანიჭებენ, რომლებიც ამავდროულად დარგის სპეციალიტები არიან. ამ ტიპის ჟურნალისტების მიერ მოპოვებული, დამუშავებული და გადაცემული ინფორმაცია ამაღლებს ჟურნალისტის და მედიასაშუალების მიმართ მომხმარებლის ნდობას. პროგრამის მიზანი სწორედ ამით განისაზღვრება - სფეროს მომარაგება პროფესიონალი კადრებით, პროფესიონალი არტჟურნალისტების მომზადება, რაც ეროვნული ხელოვნების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ამის საშუალებას იძლევა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ბაზა. უნივერსიტეტში დაგროვლია იმ ტიპის გამოცდილება, რომელიც მყარ საფუძველს ქმნის არტჟურნალისტების მომზადებისთვის. აქ თავმოყრილია ის დარგები, რომელიც სჭირდება ხელოვნების სფეროში მოღვაწე

ჟურნალისტებს. ამავდროულად, უნივერსიტეტი ფლობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ პერსონალს, ტელევიზიას და ა.შ. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში არტჟურნალისტის სპეციალობაზე მაგისტრანტების სწავლებას აქვს კომპლექსური და ორგანიზებული ხასიათი. შესაძლებელია, მაგისტრების მომზადება მედიის სხვა სპეციალობების შესწავლის და ერთობლივ პროექტებში მონაწილეობის გზით. ყოველივეს და ასევე, დაგროვლი გამოცდილებისა და ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, განხორციელდა ცვლილებები რეკრედიტაციაზე წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| **1.1** პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის *არტჟურნალისტიკა* მიზანი ნათელია, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნას და უნარებს, რისკენაც არის პროგრამა ორიენტირებული. კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება სამეცნიერო კვლევების წარმოებისა და პრაქტიკული საქმიანობისთვის. სამაგისტრო პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დაკვეთით შესრულებული ბაზრის კვლევა მიზნად ისახავდა გაეზომა საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა, როგორც ზოგადად მედიის მკვლევრების ასევე სეგმენტური სპეციალიზაციის მქონე მედია სპეციალისტების *მედიამკვლევრების მიმარ.* კვლევის დოკუმენტის თანახმად, „ვინაიდან საქართველოში მცირეა იმ სასწავლებლების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ გამოცდილება მოამზადონ კულტურის საკითხების შესახებ სპეციალიზებული, სეგმენტური ცოდნის მქონე მკვლევრები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმგვარი სასწავლო პროგრამების ფორმირება, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობას და შესაძლებლობას მისცემს დამსაქმებლებს დააკმაყოფილონ ბაზარზე არსებული სპეციფიკური მოთხოვნები“. ბაზრის მოთხოვნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთანაც -„ ხელოვნების დარგების, სახელოვნებო მეცნიერებების განვითარება და კვლევა მედიაგარემოსთან მიმართებაში“. სამაგისტრო პროგრამა მიმართულია საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც მედიის და კულტურის და ხელოვნების მიმართულებით ექნებათ სიღრმისეული თეორიული საფუძველი. სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის ცოდნა, მათ სახელოვნებო პროდუქციის კვალიფიციური კვლევის საშუალებას მისცემს, გამოუმუშავებს ხელოვნების დარგების პროფესიული შეფასების და ანალიზის უნარს. მეორე მხრივ, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამის მიზანია მაგისტრ სტუდენტებს შეასწავლოს დარგობრივი დისციპლინები, მისცეს სპეციალური ცოდნა და გამოუმუშაოს ისეთი უნარები, რის საფუძველზეც ისინი კონკურენტულ გარემოში პრაქტიკულ საქმიანობას შეძლებენ. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია მედიის თანამედროვე ტენდენციები და შრომის ბაზრის მულტიმედიური პლატფორმებისთვის ხელოვნების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებით მომარაგებას ისახავს მიზნად, რომლებსაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მედიაპროდუქტის შექმნა,მედიაპლატფორმების გამოყენებით ხელოვნების ნიმუშების პოპულარიზაცია შეეძლებათ. კულტურის, როგორც ფართო ღირებულებითი სტანდარტების ერთიანობის არსებობა და ამ მიმართულებით მედიის ზეგავლენისა და აქტიურობის შესწავლა, მონიტორინგი ქვეყნის, სამოქალაქო |

| |
|---|
| საზოგადოების, სწორი მიმართულებით განვითარების აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. მედიის კვლევის მიმართულება აქტუალურია მედიისა და აკადემიური სამყაროს დასაქმების სეგმენტში;<br>პროგრამის მიზნები შეესაბამება *უსდ*-ის, მისიას, და სტრატეგიას; სწავლა-სწავლებისა და კვლევების ინოვაციური მეთოდებით, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სასწავლო კურსებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და შემოქმედებითი პროექტებით, აქტუალური კვლევებითა და მრავალფეროვანი ხარისხიანი სერვისებით უპასუხებს თანამედროვეობის მნიშვნელოვან გამოწვევებს.<br>ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, სფეროს, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს; შესაბამისად, პროგრამის მიზანს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის მაგისტრის მომზადება წარმოადგენს პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომითი ბაზრის მოთხოვნებიც და ნაკლოვანებებიც. რაც უმეტესად დარგობრივი ცოდნის მქონე ჟურნალისტების ნაკლებობით არის განპირობებული; ეს კი, მთლიანობაში, აღარიბებს და ერთფეროვანს ხდის მედიაში ინფორმაციის გააზრება-გავრცელების პროცესს. მიზნებში იკვეთება აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის მნიშვნელობა; ასევე უცნობი ან ცვალებადი გარემოსადმი მომავალი ჟურნალისტის მომზადება. პროგრამის მიზნები და ამოცანები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. მიღწევადია და რეალისტური.<br><br>ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელები მიუთითებენ *უდს*-ს მიერ ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოების საჭიროებაზე, გამოცდილების გაზიარების, ახალგაზრდა შემოქმედთა ურთიერთობების და კულტურათა დიალოგის საერთაშორისო კონტექსტში ჩართვაზე. სასურველია, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის უფრო ეფექტიანი წარმოება.<br>პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, განთავსებულია *უდს*-ს *ვებ* გვერდზე და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „არტჟურნალისტიკა";<br>• საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები და ამოცანები;<br>• შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება. თვითშეფასების ანგარიში;<br>• უდს-ს ვებგვერდი; http://www.tafu.edu.ge<br><br>• შრომის ბაზრის და დამსაქმებელის კვლევა;<br>• ინტერვიუს შედეგები უდს-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია, უდს-ს მიერ ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის |

| |
|---|
| ეფექტიანი წარმოება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის შედეგების ანალიზის სიმარტივეს ხელს უწყობს როგორც შედეგების მკაფიოობა და სიცხადე, ასევე შედეგებისა და მიზნების რუკა. *მულტიდისციპლინარული* ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გარდა პროგრამის მნიშვნელოვან შედეგებად უნდა მოვიაზროთ კურსდამთავრებულის, როგორც სხვადასხვა მედია რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობების იოლად გამომყენებელი დამოუკიდებელი ავტორის ფორმირება; ავტორისა, რომელიც თავად იქნება ახალი *კონტენტისა* და ფორმების ავტორი; რომელსაც შეუძლია, შექმნასა და განავითაროს ახალი გამოცდილება. ამავდროულად, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო კიდევ ერთი შედეგის ეფექტურობა - სხვადასხვა სახელოვნებო დარგების ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულები იკავებენ სპეციფიკურსა და უნიკალურ ადგილს იმ მედიასივრცეებში, სადაც მუშაობენ. მათი უნარები და შესაძლებლობები, ასევე საკუთარი თავის ექსკლუზიური პროფესიული შესაძლებლობების ცოდნა და რწმენა, კარიერული წინსვლის საინტერესო პერსპექტივებს წარმოაჩენს. |

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - არტჟურნალისტიკა - სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამიჯნულია თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მკაფიოდ გამიჯვნას. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდგომ სტუდენტი აყალიბებს ერთი მხრივ, ჟურნალისტიკის სპეციფიურ მეთოდებსა და მიდგომებს, სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე განაზოგადებს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს, მეორე მხრივ აქვს უნარი მოამზადოს ხელოვნების თემატიკაზე ჟურნალისტური ნაწარმოებები ყველა სახის მედიაპლატფორმისთვის; სამაგისტრო პროგრამა უაღრესად თანამედროვე გამოცდილებითა და ინდივიდუალური კრეატიული მიდგომით ხასიათდება და კურსდამთავრებულს სძენს მხატვრულ-შემოქმედებითი მედიაპროდუქტის და სახელოვნებო თემატიკაზე მულტიმედიური პროექტების დამოუკიდებლად შექმნის ცოდნას, ინტერნეტპლატფორმებზე მათი განთავსების უნარს, ბლოგების, ვლოგების, პოდკასტებისათვის, ვებგვერდების შექმნაა და ადმინისტრირებას;

პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან პროგრამის შედეგები ძირითადად ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საგანმანათებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა და არტჟურნალისტიკის მომავალი მაგისტრის აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია: სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების შუალედური და დასკვნითი შეფასებები. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშვებული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის რეალიზება. შედეგები რანჟირებულია: საბაზისო ცოდნა; განმავითარებელი ცოდნა; კომპლექსური ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი კონკრეტული გეგმა და გრაფიკი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმშია გაწერილი. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.
პროგრამაში წარმოდგენილი კურიკულუმის რუკის ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს

| |
|---|
| შეთავაზებული სასწავლო კურსებით,მაგისტრების შეფასება ხორციელდება მთელი სემესტრის განმავლობაში, ფასდება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სამუშაოების, პრაქტიკული და თეორიული ნაშრომების, პრეზენტაციების შესრულების შედეგები; მაგისტრანტი ფასდება შუალედური გამოცდების და დასკვნითი გამოცდების საფუძველზე; შეფასებისას ყურადღება ექცევა, რამდენად აქვს მაგისტრანტს დისციპლინაში ორიენტირების უნარი; რამდენად სწორად შეუძლია წყაროებზე და მასალებზე მუშაობა, შესწევს თუ არა უნარი დამოუკიდებლად შეარჩოს ის მასალა, რომელიც სჭირდება თეორიულ-კვლევითი თუ პრაქტიკული ნამუშევრის შესრულებისთვის; ფასდება, რამდენად ფლობს მედიის კვლევის მეთოდებს და იყენებს მას კვლევით პროექტებში; რამდენად სწორად ახდენს ნაშრომის სტრუქტურირებას და აქვს თუ არა ლოგიკური და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი; ფასდება სიახლისკენ მაგისტრანტის სწრაფვის და თვითგანვითარების უნარი; ნაშრომებს ლექტორი აფასებს საკვლევი თემის სიახლის, აქტუალობის, პრაქტიკულ ნამუშევრებში ახალი ფორმების და საშუალებების მოძიების უნარის, კრეატიულობისა და შემოქმედებითი ფანტაზიის მიხედვით.<br>საკვალიფიკაციო-სამაგისტრო ნაშრომებში ფასდება, რამდენად შეესაბამება ეს ნაშრომები მოსაპოვებელ აკადემიურ ხარისხს და აქვს თუ არა მაგისტრანტს უნარი მომავალი განვითარებისთვის, დააკმაყოფილებს თუ არა მისი ცოდნა და უნარები ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს და მიანიჭებს თუ არა მიღებული ცოდნა მას უპირატესობას მედიაბაზრის კონკურენტულ გარემოში. ფასდება მაგისტრანტის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა და უნარი;<br>თანამედროვე სამყარო სულ უფრო მეტად ითხოვს დისტანციური და ნახევრად დისტანციური სწავლების მეთოდებს, შესაბამისად, პროგრამის განახლება ამ მხრივაც პირდაპირ იქნება მიბმული იმ პროგრამულ სიახლეებზე, რაც პერიოდულად დაინერგება ამ ტიპის სწავლების ტექნიკურ უზრუნველყოფაში. შეფასების შედეგები პირდაპირ კავშირშია პროგრამის გაუმჯობესებასთან, რამდენადაც აჩვენებს კურიკულუმით განსაზღვრული კურსების პირდაპირ შესაბამისობას საკვალიფიკაციო ცოდნის მიღებასთან. კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ რომელიმე კურსის მიმართ სტუდენტების დაბალი ინტერესის შემთხვევაში დგება საკითხი ამ კურსის დახვეწის, ან მისი სხვა უფრო მობილური კურსით შეცვლის შესახებ. სასურველია პროგრამის შედეგების შეფასების მონიტორინგი დამსაქმებლებთან უფრო ინტენსიური კომუნიკაციის შედეგადაც განხორციელდეს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება.<br>• უნივერსიტეტის მისია (დამტკიცებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 თებერვლის N4 დადგენილებით)<br>• შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>• კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;<br>• კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შეფასება;<br>• „თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები“, |

აკადემიური საბჭოს N1 დადგენილება. 11.12. 2017;

- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს, დადგენილება N18/3);
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური ექსპერტიზა (ბრძანება #15/2 – 17.02.2011).
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებელთან, სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია პროგრამის შედეგების შეფასების მონიტორინგი დამსაქმებლებთან უფრო ინტენსიური კომუნიკაციის შედეგად განხორციელდეს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✔ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ლოგიკურია, სამართლიანია, საჯაროა, თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის მქონე პირთა ჩართვას. აუცილებელი მოთხოვნებია: ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება; უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული) B2 დონეზე ცოდნა.<br><br>სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:<br><br>ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;<br><br>ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; გ) შიდასაუნივერსიტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება.<br><br>შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შედგება სააპლიკაციო პაკეტისაგან, ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტირებისა და ინტერვიუსაგან.<br><br>გასაუბრებაზე, რითაც დგინდება აპლიკანტის მომზადების დონე და უნარი აითვისოს საგანმათლებლო პროგრამა, სასურველია, აპლიკანტმა წამოადგინოს ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი წარმოადგენს არტჟურნალისტიკის ან მედიაარტის სფეროში მანამდე შესრულებულ თეორიულ ან პრატიკულ ნამუშევარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, თავისუფლდება |

| |
|---|
| გასაუბრებისგან.<br><br>აპლიკანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენას B2 დონეზე. აპლიკანტის ენის ფლობის დონე შემოწმდება ტესტირების საშუალებით. აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ენის ცოდნას B2 დონეზე. აპლიკანტი ასევე თავისუფლდება ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენიდან, თუ საბაკალავრო საფეხურზე სწავლის დროს, მის მიერ უცხო ენაში მიღებული კრედიტი შეესაბამება ენის ცოდნის შესაბამის საფეხურს.<br><br>ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ რამდენიმე უცხო ენის შეთავაზება მეტი აპლიკანტის მოზიდვის წინაპირობაა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პრაქტიკა პრობლემას შექმნის სტუდენტებისათვის საგნის თემატიკის რელევანტური ლიტერატურის შეთავაზების თვალსაზრისით. სირთულეს შექმნის ყველა აღნიშნულ ენაზე ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. სასურველია, წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს ერთი კონკრეტული ენა, რაც განაპირობებს დარგის შესაბამისი ლიტერატურის სრულყოფილად შეთავაზებას.<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები საჯაროა და განთავსებულია უდს-ს ვებგვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებო პროგრამა;<br>• "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი";<br>უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge<br><br>• თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია, აპლიკანტმა წამოადგინოს ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.<br><br>• სასურველია, წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს ერთი კონკრეტული ენა, რაც განაპირობებს დარგის შესაბამისი ლიტერატურის სრულყოფილად შეთავაზებას. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა - *არტჟურნალისტიკა* - შედგენილია *უსდ*-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის მიერ შრომის ბაზრის კვლევის გათვალისწინებით, დამსაქმებლები, ხედავენ სეგმენტური მედიის მკვლევრის საჭიროებას და მიიჩნევენ, რომ „მათი როლი მედიასაშუალებების რაოდენობის და მულტიმედია პროდუქტზე ორიენტირებული გამოცემების ზრდასთან ერთად კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება; დასაქმების ბაზარი აქცენტს აკეთებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კონკრეტული სფეროს სპეციალისტზე; მაგისტრატურის სასწავლო პროგრამების განვითარება, შრომის ბაზრის მიერ პოზიტიურადაა აღქმული და წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოებას მედია სექტორის მდგრადი და თანმიმდევრული განვითარებისათვის“. საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის - *არტჟურნალისტიკა* - საჭიროებას ისიც ადასტურებს, რომ მსგავსი პროგრამა საქართველოში არსებულ არც ერთ სახელოვნებო უნივერსიტეტს არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ შრომის და დასაქმების ბაზარზე პროფესიონალი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი *არტჟურნალისტების* საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. თანამედროვე მოცემულობაში ინტერნეტმედიის განვითარებისა და მულტიმედიურ პლატფორმებზე ტრადიციული მედიის გადასვლის პირობებში . *არტჟურნალისტების,* როგორც დარგობრივი ჟურნალისტიკის წარმომადგენლებზე მოთხოვნა მზარდია. პროგრამის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა მიმართულებები, რომელთა ძირითადი ნაწილი ასახულია პროგრამის შინაარსში. *არტჟურნალისტის* სპეციალობაზე მაგისტრანტების

სწავლებას კომპლექსური და ორგანიზებული ხასიათი აქვს. მაგისტრების მომზადება მედიის სხვა სპეციალობების შესწავლის და ერთობლივ პროექტებში მონაწილეობის შედეგად არის შესაძლებელი. უნივერსიტეტში ისწავლება სპეციალობები, რომლებიც უშუალოდ მედიაპროდუქტის შექმნას უკავშირდება., შესაბამისად, მათთან ერთად უნდა მომზადდეს *არტჟურნალისტიც*. საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სოციალური, სახელოვნებო, ჰუმანიტარული მეცნიერებების და ხელოვნების დარგების სპეციფიკის თეორიული ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალ სპეციალისტებს შემდეგი მიმართულებებით: *არტჟურნალისტი; მედიამკვლევარი*. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. , იგი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, არსებითად ასეთი დაყოფა აკმაყოფილებს ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მაგისტრის ხარისხისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის მიღებას პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას: პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური კვალიფიკაციის, მასში გათვალისწინებულია როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ისევე სპეციალური თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს განათლებას ჟურნალისტიკის და ხელოვნების სფეროში. მთლიანობაში პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია ხელოვნების დარგების მცოდნე პრაქტიკოსი *არტჟურნალისტის* და მკვლევრის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაზე და ქმნის ამ პროფესიის საფუძველს. პროგრამა ხელს უწყობს მაგისტრის ინდივიდუალური ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების ფორმირებასა და განვითარებას. შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; პროგრამის მოცულობა თანხვედრაშია სწავლების სამაგისტრო საფეხურთან. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 აკადემიური წელი ( 4 სემესტრი ) და მოიცავს 120 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; 120 კრედიტი = 3000 სთ.). ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სასწავლო წლიური დატვირთვა შესაძლებელია იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არა უმეტეს წელიწადში 75 კრედიტისა. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამაში, ზოგად დახასიათებასთან ერთად, დეტალურად არის წარმოდგენილი სწავლების სპეციფიკის შესაბამისი აღწერა, სასწავლო გეგმების, კურიკულუმის, სწავლის შედეგების და ვერბალური ანოტაციების თანხლებით. ზოგადად პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულადაა დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც ადეკვატურია. პროგრამის შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა - *არტჟურნალისტიკა* - შედგენილია *უსდ*-ში

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის მიერ შრომის ბაზრის კვლევის გათვალისწინებით, დამსაქმებლები, ხედავენ სეგმენტური მედიის მკვლევრის საჭიროებას და მიიჩნევენ, რომ „მათი როლი მედიასაშუალებების რაოდენობის და მულტიმედია პროდუქტზე ორიენტირებული გამოცემების ზრდასთან ერთად კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება; დასაქმების ბაზარი აქცენტს აკეთებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კონკრეტული სფეროს სპეციალისტზე; მაგისტრატურის სასწავლო პროგრამების განვითარება, შრომის ბაზრის მიერ პოზიტიურადაა აღქმული და წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოებას მედია სექტორის მდგრადი და თანმიმდევრული განვითარებისათვის". საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის - *არტჟურნალისტიკა* - საჭიროებას ისიც ადასტურებს, რომ მსგავსი პროგრამა საქართველოში არსებულ არც ერთ სახელოვნებო უნივერსიტეტს არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ შრომის და დასაქმების ბაზარზე პროფესიონალი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი *არტჟურნალისტების* საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. თანამედროვე მოცემულობაში ინტერნეტმედიის განვითარებისა და მულტიმედიურ პლატფორმებზე ტრადიციული მედიის გადასვლის პირობებში . *არტჟურნალისტების*, როგორც დარგობრივი ჟურნალისტიკის წარმომადგენლებზე მოთხოვნა მზარდია. პროგრამის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა მიმართულებები, რომელთა ძირითადი ნაწილი ასახულია პროგრამის შინაარსში. *არტჟურნალისტის* სპეციალობაზე მაგისტრანტების სწავლებას კომპლექსური და ორგანიზებული ხასიათი აქვს. მაგისტრების მომზადება მედიის სხვა სპეციალობების შესწავლის და ერთობლივ პროექტებში მონაწილეობის შედეგად არის შესაძლებელი. უნივერსიტეტში ისწავლება სპეციალობები, რომლებიც უშუალოდ მედიაპროდუქტის შექმნას უკავშირდება., შესაბამისად, მათთან ერთად უნდა მომზადდეს *არტჟურნალისტიც*. საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სოციალური, სახელოვნებო, ჰუმანიტარული მეცნიერებების და ხელოვნების დარგების სპეციფიკის თეორიული ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალ სპეციალისტებს შემდეგი მიმართულებებით: *არტჟურნალისტი*; *მედიამკვლევარი*. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. , იგი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, არსებითად ასეთი დაყოფა აკმაყოფილებს ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მაგისტრის ხარისხისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის მიღებას პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას: პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური კვალიფიკაციის, მასში გათვალისწინებულია როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ისევე სპეციალური თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს განათლებას ჟურნალისტიკის და ხელოვნების სფეროში. მთლიანობაში პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია ხელოვნების დარგების მცოდნე პრაქტიკოსი *არტჟურნალისტის* და მკვლევრის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაზე და ქმნის ამ პროფესიის საფუძველს. პროგრამა ხელს უწყობს მაგისტრის ინდივიდუალური ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების ფორმირებასა და განვითარებას. შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; პროგრამის მოცულობა

თანხვედრაშია სწავლების სამაგისტრო საფეხურთან. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 აკადემიური წელი ( 4 სემესტრი ) და მოიცავს 120 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; 120 კრედიტი = 3000 სთ.). ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სასწავლო წლიური დატვირთვა შესაძლებელია იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არა უმეტეს წელიწადში 75 კრედიტისა. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამაში, ზოგად დახასიათებასთან ერთად, დეტალურად არის წარმოდგენილი სწავლების სპეციფიკის შესაბამისი აღწერა, სასწავლო გეგმების, კურიკულუმის, სწავლის შედეგების და ვერბალური ანოტაციების თანხლებით. ზოგადად პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულადაა დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც ადეკვატურია.

ექსპერტთა მიერ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასურველია, არჩევითი საგნების ნაწილში, რომელიც სტუდენტს სთავაზობს სახელოვნებო დარგობრივ დისკურსებს, აქცენტი კეთდებოდეს საერთაშორისო თანამედროვე არტისტულ დარგობრივ პროცესებზე და არა მხოლოდ ადგილობრივ ქართულ ხელოვნებაზე. ასევე სასურველია, ისტორიის თხრობის დროს, პარალელურად ყურადღება გამხვილდეს, თუ როგორ ეხმაურებოდნენ პუბლიცისტები და ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს, როგორ ვითარდებოდა ჟურნალისტიკაში ანალიტიკური აზრი თანამედროვე კრიტიკული ხელოვნების განვითარებასთან ერთად.

ინტერვიუს სესიებმა აჩვენა, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი). *უსდ*-ს მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. სტუდენტებმა ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ მათ აქვთ საშუალება მიიღონ სავალდებულო აკადემიური ცოდნა, როგორც ძირითადი სასწავლო კურსებით, ასევე ინდივიდუალური გეგმის მიხედვით დამატებით აირჩიოს სასწავლო კურსები.

პროგრამის სასწავლო კურსები, სავალდებულო თუ არჩევითი საგნები მდიდარ არჩევანს აძლევს სტუდენტს, ორიენტირდეს ხელოვნების მრავალდარგობრივ სივრცეში ისე, რომ ფლობდეს არა მხოლოდ დარგების სპეციფიკის შესახებ ცოდნას, არამედ იცნობდეს მათი ისტორიული განვითარების ძირითად ტენდენციებს, რაც უნდა გახდეს კურსდამთავრებულთა ანალიტიკური აზროვნების საფუძველი. ამასთანავე საყურადღებოა, რომ სასწავლო კურსები ძირითადად ფოკუსირდება ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგების ისტორიაზე მაშინ, როდესაც პროგრამის მიზნებში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ კურსდამთავრებული ჟურნალისტი იოლად უნდა ინტეგრირდეს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ჟურნალისტურ დისკურსებში. სწორედ ამ მიზნის გათვალისწინებით პროგრამა საჭიროებს ლოკალური და

საერთაშორისო სახელოვნებო პროცესების გაცნობისთვის ჰარმონიულსა და დაბალანსებულ ნარატივებს. სამაგისტრო პროგრამის სილაბუსების ფორმირება ისტორიათა თხრობის პრინციპზე დგას. სხვადასხვა სახელოვნებო დარგის ისტორია ბუნებრივად აჩენს მოლოდინს, რომ აღნიშნულ სილაბუსებში მომავალში ჩაიშლება ბოლო საუკუნეების კულტურისა და ხელოვნების ისტორიისა და ჟურნალისტიკის ისტორიის კავშირების შესახებ დისკურსები. როგორ და რა ფორმით ეხმიანებოდნენ და ეხმიანებიან მე-19, მე-20 თუ მიმდინარე საუკუნეებში, სახელოვნებო თუ ზოგადკულტურულ პროცესებს თანამედროვე პუბლიცისტები და სწრაფად განვითარებადი პრესა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისრტო პროგრამა „არტჟურნალისტიკა“
- პროგრამის სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი (განხილული სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საბჭოზე 29.03.2018, #5, დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით #70/2)
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენტი: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 სექტემბერს, დადგენილება N16)
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, არჩევითი საგნების ნაწილში, რომელიც სტუდენტს სთავაზობს სახელოვნებო დარგობრივ დისკურსებს, აქცენტი კეთდებოდეს საერთაშორისო თანამედროვე არტისტულ დარგობრივ პროცესებზე და არა მხოლოდ ადგილობრივ ქართულ ხელოვნებაზე. ასევე სასურველია, ისტორიის თხრობის დროს, პარალელურად ყურადღება გამხვილდეს, თუ როგორ ეხმაურებოდნენ პუბლიცისტები და ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს. როგორ ვითარდებოდა ჟურნალისტიკაში ანალიტიკური აზრი თანამედროვე კრიტიკული ხელოვნების განვითარებასთან ერთად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

| |
|---|
| სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3.** სასწავლო კურსი |
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს;<br>პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსის მოცულობა 5 კრედიტია. გამონაკლისია  სამაგისტრო ნაშრომი -20კრ და საჩვენებელი ლექციის/მულტიმედიური პროექტის მომზადება/პრეზენტაცია- 10კრ.  პროგრამაში კრედიტების რაოდენობა ისეა განაწილებული, რომ მეტი დრო ეთმობა სპეციალობის ძირითადი კურსების შესწავლას, ხოლო ზოგადი კურსები ძირითადად  3-3 კრედიტის ფარგლებშია წარმოდგენილი, გამონაკლისია ინგლისური ენა- 5 კრედიტი.  საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა განსხვავებულია დისციპლინების სპეციფიკურობიდან გამომდინარე. საკონტაქტო საათები კურსის შესაბამისი, სხვადასხვაგვარი სწავლა-სწავლების მეთოდებითაა წარმოდგენილი: ლექციებისა და ჯგუფში მუშაობის საათები, პრაქტიკული მეცადინეობა და ა.შ., სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად.<br>პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უკავშირდება სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს და  საფეხურს.<br>სასწავლო კურსში წარმოდგენილი სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა შესაბამისი შეფასების მეთოდით ფასდება, რაც მითითებულია როგორც სილაბუსებში, ისე |

რეგულაციებში.
სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში ჩართულია უცხოენოვანი ლიტერატურა, თუმცა, ვფიქრობთ, სილაბუსებში შესაძლებელია სფეროს აქტუალურ მიღწევების, უახლესი კვლევებისა და ტენდენციების შესახებ ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსისა და ზოგადად პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. ბოლო წლებში მიმართულების პროფესორების მიერ შეიქმნა სასწავლო ლიტერატურა, რომელიც ითვალისწინებს სფეროში არსებულ უახლოეს კვლევებს. ამდენად, პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია უახლესი კვლევების შედეგები და თანამედროვე მიღწევები.
სპეციალური საგნების კურსების გავლის შემდეგ სტუდენტებს აქვთ დარგობრივი კომპეტენციები: ცოდნა,უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

სტუდენტი პროგრამას ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით და დაცვით, რომლის არჩევამდე მას გავლილი უნდა ჰქონდეს კვლევის კომპონენტში შემავალი კურსები შემდეგი თანმიმდევრობით და წინაპირობების დაცვით, -აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები, ინტერკულტურული დიალოგის პრინციპები, მედიატექსტის ანალიზის და კვლევის მეთოდები,- რაც წინაპირობაა საკვალიფიკაციო ნაშრომის ხარისხიანად შესრულებისა და დაცვისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „არტჟურნალისტიკა“
- პროგრამის სპეციალური დისციპლინების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, სილაბუსებში სფეროს აქტუალურ მიღწევების, უახლესი კვლევებისა და ტენდენციების შესახებ ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსისა და ზოგადად პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსების საფუძველზე, რაც მაგისტრანტებს საშუალებას აძლევს შეძენილი ცოდნის კონტრიბუცია მოახდინონ როგორც აკადემიურ სფეროში, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში.

შეძენილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ერთობლიობა ქმნის შესაძლებლობას სახელოვნებო ტექსტის, მედიატექსტის, მედია არტის ანალიზის, მათი წარმოების ტექნიკის, აუდიტორიაზე ზეგავლენის და ამ ზეგავლენის შედეგების კრიტიკული შეფასებისთვის. აღნიშნული მოდული მედიაკვლევების და ჟურნალისტური პრაქტიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა, რომელიც მაგისტრანტს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ახალი კუთხით დანახვის შესაძლებლობას აძლევს, როგორც ისტორიული განვითარების, ასევე მისი თეორიული გააზრების შესაძლებლობით.

სწავლების პირველსავე წელს მაგისტრანტები იღრმავებენ ცოდნას მასობრივი კომუნიკაციის თეორიაში, ეცნობიან როგორც ტელემედიის, ასევე ახალი მედიების განვითარების ძირეულ ტენდენციებს. ასევე მაგისტრანტები იღრმავებენ ცოდნას სახელოვნებო მეცნიერებებში, რაც კურიკულუმში არჩევითი კურსებითაა წარმოდგენილი და, იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტს არა აქვს სახელოვნებო და ხელოვნებათმცოდენობითი განათლება, მას შეუძლია ცოდნის მიღება არჩევითი კურსების საშუალებით.

მაგისტრანტებს, რომლებსაც აქვთ სურვილი დაეუფლონ არტჟურნალისტის პროფესიას, არა აქვთ ჟურნალისტის კვალიფიკაცია და შესაბამისი საბაკალავრო ხარისხი, პროგრამის არჩევითი საგნები შესაძლებლობას უქმნის პროგრამაზე ჩარიცხულები დაეუფლონ ჟურნალისტიკის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს, რათა შეძლონ პროგრამის დასრულების შემდეგ კვალიფიციური პრაქტიკული საქმიანობა.

სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მიმართულებით მაგისტრანტის პროფესიული

დაოსტატების ძირეულ ნაწილს შეფასების, ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარჩვევების გამომუშავება წარმოადგენს, რასაც ემსახურება სწავლების ორივე წელს სამეცნიერო ლიტერატურის და ემპირიული მასალის შესწავლა-დამუშავების საფუძველზე სემინარების, რეცენზიების, რეფერატის, საკურსო, საკონფერენციო მოხსენებისა თუ საჟურნალო პუბლიკაციის მომზადება, მათ ამაში დაეხმარება სპეციალური სასწავლო კურსები, მაგალითად საკონფერენციო მოხსენების/საჟურნალო პუბლიკაციის მომზადება, საკურსო ნაშრომი და სხვა.

სწავლების როგორც პირველი, ასევე მეორე წელი ეთმობა საუნივერსიტეტო დისციპლინების შესწავლას, ასევე არჩევით კურსებს, რომლებიც ჟურნალისტიკის თეორიის და თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე ტენდენციების მიმართულებით მაგისტრანტებს ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას აძლევს

პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება სწავლების როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური მეთოდი და სტუდიური სწავლება.

ექსპერტების მიერ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერებამ ცხადყო, რომ მაგისტრანტებისთვის შექმნილია კომფორტული და პროფესიულად გამართული გარემო, როგორც კვლევითი, ასევე პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად: კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, კინო და ტელე-აპარატურა, გადაღების, გახმოვანებისა და სამონტაჟო სტუდიები.

პრაქტიკული კურსის წარმართვა შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის ტელევიზიის (TAFU.TV), ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე (GPB), უნივერსიტეტსა და მაუწყებელს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას;

დამსაქმებლებთან გაფორმებულიმემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. შესაბამისად, მაგისტრანტს სრული პირობა აქვს შექმნილი შეისწავლოს სატელევიზიო წარმოების პროცესის ყოველი საფეხური, გადასაღები მოედნიდან დაწყებული, გადაცემის ეთერში ტრანსლირებით დასრულებული.

სამაგისტრო პროგრამა *არტჟურნალისტიკაში* არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროგრამა თეორიისა და პრაქტიკის წარმატებული და ინტენსიური სინთეზის თვალსაზრისით. პროგრამა მჭიდროდ არის დაკავშირებული შემოქმედებით პროცესებსა და მათ თეორიულ ანალიზთან, რაც განპირობებულია უნივერსიტეტის შიდა შემოქმედებითი პროცესებით, ამავდროულად აკადემიური პერსონალის გამოცდილებით. ამასთანავე, პროგრამას ხელმძღვანელობენ აქტიურ ჟურნალისტიკაში მყოფი მკვლევარი პროფესიონალები, რომლებიც თავად წარმოადგენენ მაგალითს თეორიის, კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის მთლიანობაში დანახვა-გაცოცხლების თვალსაზრისით. პროგრამაში ხილვადია მათი გამოცდილებების სტუდენტებისთვის გაზიარებისა და ამ გამოცდილებებით პრაქტიკაში მათი გაძლიერების პროცესი. პროგრამას აძლიერებს საუნივერსიტეტო და გარე პრაქტიკის მოდულები. შესაბამისი სივრცეები და ტექნიკურ-ინტელექტუალური რესურსები, რაც კურსდამთავრებულების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის საწინდარი უნდა გახდეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „არტჟურნალისტიკა“
- პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები.
- პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები;
- საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციები:

- http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=conf_stud
- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/student-konf-programa-2015.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/student-konf-programa-2016.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/student-konf-programa-2017.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/student-konf-programa-2018.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/konf_stud_2019_programa.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/elbooks/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%202020%20vebistvis.pdf?fbclid=IwAR24kEUqQAeVJEmHl-4ejGR3eiGHP2bUXqh8NEnasiQ3fzAQrK9T59CmrVg
  http://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XIV_conf_programa_2021.pdf
- სტუდენტთა ჩართულობა პრაქტიკაში და განხორციელებული პრაქტიკის ნუსხა მემორანდუმების საფუძველზე:
- შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის, 23.10.2013 წ.
- შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის, 22.04.2021 წ.
- შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტსა და განათლების მულტიმედია ცენტრს შორის, 10.09.2018 წ.
- შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტსა და განათლების მულტიმედია ცენტრს შორის, 21.02.2019 წ.
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, ანალიზი და რეკომენდაციები.
- დებულება სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის შესახებ
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის არტჟურნალისტიკა შემადგენელი სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება- სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიური ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევის შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, გონებრივ იერიშს (Brain storming), ანალიზს, სინთეზს, წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას და სხვ.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესორ-მასწავლებლები სწავლებისას იყენებენ ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ თეორიული კურსების შემთხვევაში და მოიცავს სწავლების სამ სახეს:

დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.

ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას, როდესაც სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს. სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ

| |
|---|
| სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა; |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა „არტჟურნალისტიკა“<br>• პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები<br>• წერითი ნაშრომების შერულების სტანდარტი (დამტკიცებულია აკად. საბჭ. მიერ 23.03. 2017, #11)<br>• სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესი დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017. 16. 10 (დადგენილება N17/4)<br>• სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის წარმართვის წესი ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პირობებში<br>• სსიპ- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი<br>• სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების წესი<br>• უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge<br>• ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |

| შეფასება |
| --- |
| o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.6.** სტუდენტების შეფასება |
| --- |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას, რაც დასტურდება საგანმანათლბლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით. პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.<br><br>შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.<br><br>პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები სტუდენტს გავლილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩართული იქნება სემესტრულ სასწავლო აქტივობებში და წარმატებულად ჩააბარებს, როგორც შუა სემესტრულ, ისე ფინალურ გამოცდას. ორივე სახის გამოცდის (შუასემესტრული, ფინალური/დასკვნითი) გამოცდის ჩაბარება აუცილებელია. ფინალურ გამოცდაზე არ დაიშვება ის სტუდენტი, რომელსაც შუასემესტრული აქტივობის მიხედვით (დასწრება-აქტივობა, შუალედური და ა.შ.), მთლიანობაში არ აქვს მინიმუმ 21 - ქულა. შუასემსტრული და ფინალური გამოცდის (თითოულის) დადებით შედეგად ჩაითვლება სტუდენტის მიერ მიღებულ ქულათა |

რაოდენობა, რომელიც შეადგენს შეფასებისთვის განსაზღვრულ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის მინიმუმ 50%-ს. (შუასემესტრული - არანაკლებ 10 ქულისა, ფინალური გამოცდა - არანაკლებ 20 ქულისა).

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი გამოკითხვის სხვადასხვა ფორმები (ტესტი, დასწავლილი მასალის თხრობა, რეფერატი/საკურსო და ა. შ.). პედაგოგი ლექციაზე წინასწარ აცნობებს სტუდენტებს ყოველი გამოკითხვის ფორმას.

სტუდენტი ფასდება საკონტაქტო საათების დროს გამოჩენილი აქტივობის მიხედვით - დისკუსიაში მონაწილეობა, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობა და სხვა შესაძლო აქტივობები. ამ შემთხვევში შეფასების ძირითადი კრიტერიუმია აზრის მკაფიოდ და ლოგიკურად ფორმულირების და გადმოცემის უნარი.

სასწავლო კურსში საბოლოო შეფასება “FX”-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს, ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში, ერთჯერადად ეძლევა შესაბამის დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება; იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დამატებით გამოცდას ვერ ჩააბარებს, სტუდენტს უფორმდება 0 ქულა.

პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

➢ (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
➢ (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
➢ (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
➢ (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
➢ (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

➢ (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
➢ (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის

მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) - 0 ქულა.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსში - რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველჰყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

დაწესებულების მიერ, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია - სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის, მისი დასრულებისა და დაცვის წესები და პირობები. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი და პირობები გამჭვირვალე და კანონთან შესაბამისია. სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა კვლევითი კომპონენტის დასკვნითი ნაწილია. სამაგისტრო ნაშრომი დაცვამდე მოწმდება პლაგიატზე, დაწესებულების მიერ დადგენილი ანტიპლაგიატის წესის შესაბამისად; სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა და ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი შიდასამართლებრივი აქტებით გაწერილი რეგლამენტის " სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის" შესაბამისად.

დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი და უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსების შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „არტჟურნალისტიკა“
- პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები
- პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები;
- თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები (დამტკიცებულია აკად. საბჭოზე, 11.12.2017. ოქმი #1).

- წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები, დამტკიცებული აკადემიურ საბჭოზე 23.03.2017. ოქმი #11;
- სასწავლო პროცესის მარეგულიერებელი წესი - აკადემიური საბჭოს N16 დადგენილება. 28.09.2017;
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს, დადგენილება N17/4);
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს (დადგენილება N18/2)
- სსიპ- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი
- თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php

- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველჰყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენეოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

| |
|---|
| სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✔ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| **3.1** სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
| --- |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის -(შემდგომში წოდებული როგორც - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - "უსდ") სამაგისტრო პროგრამა - არტჟურნალისტიკა (Art Journalism) შემდგომში წოდებული როგორც "საგანმანათლებლო პროგრამა" - სააკრედიტაციო პროცესის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის (თანდართული დოკუმენტაციით) შესწავლისა და ექსპერტთა მიერ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის პროცესის მარეგულირებელი, შიდასამარლებრივი აქტებით განსაზღვრული წესები და პირობები - საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომია. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.<br>სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში, პროგრამის განხორციელების ფარგლებში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ და საშუალება აქვთ წინასწარ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ სასურველი დისციპლინა. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.<br>უსდ-ს აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ სტუდენტები სრულყოფილად არ არიან ინფორმირებული სამეცნიერო ბაზების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით. სამაგისტრო პროგრამის მიზნების შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.<br>ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ უსდ-ს საბიბლიოთეკო სივრცეში პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის მოძიებისას, ზოგიერთი სახელმძღვანელო ვერ მოიძებნა, წინამდებარე საკითხის შესახებ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში - დაწესებულების საბიბლიოთეკო ბაზებზე, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია; უსდ-ს საბიბლიოთეკო ბაზებზე, სრულად არ არის ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოები - რაც პროგრამის ძირითად ლიტერატურას წამროადგენს. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის - უსდ-მ სტუდენტებისთვის უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკაში, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა.<br>უსდ-ს მიერ, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და |

განსაკუთრებით კი, არჩევითი საგნების ჩამონათვალი მრავალფეროვანია. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულების სტუდენტების მობილობა შესაძლებელია საზღვარგარეთ, დაწესებულების პარტნიორ უნივერსიტეტებში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; სალექციო ცხრილი არის სტუდენტზე ორიენტირებული.

უსდ ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსებას, თანადაფინანსებას კონფერენციებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებში აღინიშნა, რომ დაწესებულება მხარს უჭერს მათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა ტიპის პროექტებში.

უსდ ჩართულია "ერაზმუს +"-ის პროგრამაში, ასევე, პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობს, რომლის მეშვეობით გაცვლითი აქტივობების ფარგლებში, დაწესებულების სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მობილობით ისარგებლონ.

უსდ აქტიურად არის ჩართული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებებში; აწვდის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა გამომცემლებთან თუ ტელე-რადიო მაუწყებლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ითანამშრომლონ და გაიარონ პრაქტიკა.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას, სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რესურსი, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პერიოდულად მოეწყოს შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან დასაქმების ბაზრის საჭიროებების, განხილვა შესაბამისი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას აქვს საერთაშორისო გაცვლით აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენების მსურველი სტუდენტების რაოდენობა ცოტაა. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

| |
|---|
| |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;<br>• ბიუჯეტი;<br>• უსდ-ს მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან - საჯარო/კერძო დაწესებულებებთან;<br>• აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან,<br><br>• უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზნების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>• სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რესურსი, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პერიოდულად მოეწყოს შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან დასაქმების ბაზრის საჭიროებების, განხილვა შესაბამისი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;<br><br>• სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა და/ან გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის |

| |
|---|
| მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სასურველია გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✔ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **3.2** მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის -(შემდგომში წოდებული როგორც - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - "უსდ") სამაგისტრო პროგრამა - არტჟურნალისტიკა (Art Journalism) შემდგომში წოდებული როგორც "საგანმანათლებლო პროგრამა" - სააკრედიტაციო პროცესის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის (თანდართული დოკუმენტაციით) შესწავლისა და ექსპერტთა მიერ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს |

მიერ საკრედიტაციოდ წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას ანხორციელებს და ხელმძღვანელობენ აკადემიური ხარისხისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელები. პროგრამაზე სასწავლებლად მიღებულ სტუდენტებს, სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში უხელმძღვანელებენ უსდ-ს პროგრამის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები. გარდა ამისა, დაწესებულება თითოეულ სტუდენტს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმძღვანელონ სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმძღვანელად მოიწვიოს სხვა პროფესორი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა კვლევითი უნარების გამომუშავებაზე. კვლევითი ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო პრეზენტაციას წინ უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსი - „აკადემიური წერა და კვლების მეთოდები"; "ინტერკულტურული დიალოგის პრინციპები", "მედიატექსტის ანალიზის და კვლევის მეთოდები". უსდ-ს მიერ, წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები, შიდასამართლებრივი აქტებით არის განსაზღვრული, რომელთა შესაბამისად ხდება ნაშრომის მომზადება, ფორმალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით განსაზღვრა და მისი საჯარო დაცვა.

"სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის" - მე-3 მუხლის თანახმად, მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი აგრეთვე, დოქტორის ხარისხის მქონე უფროსი მასწავლებელი და/ან მოწვეული სპეციალისტი. სამაგისტრო ნაშრომზე მომიჯნავე სპეციალობებში მუშაობისას შეიძლება დამატებით დაინიშნოს კონსულტანტი.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია: დაეხმაროს მაგისტრანტს სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დაზუსტებაში. პერიოდულად შეამოწმოს თემაზე, პრაქტიკულ ნაწილზე მუშაობის მიმდინარეობა, გამოთქვას მოსაზრებები და გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები. განუმარტოს მაგისტრანტს უფლება-მოვალეობები. გაუწიოს კონსულტაციები მაგისტრანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და აკონტროლოს მისი შესრულება. სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს წერილობითი დასკვნა, რომელშიც ასახული უნდა იქნეს: ნაშრომის სათაური; მაგისტრანტის ვინაობა; ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები; მაგისტრანტის შრომისუნარიანობა და სხვა უნარ-ჩვევები; ნაშრომის ზოგადი შეფასება; ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა სამაგისტრო სპეციალობასთან; დასკვნა ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას თავისი მოვალეობის შესრულებაზე. ამ შემთხვევაში მან გონივრულ ვადაში, წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც განიხილავს უარის საფუძველს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამოყოფს ახალ ხელმძღვანელს. იმ შემთხვევაში,

თუ ფაკულტეტის საბჭო არ ეთანხმება ხელმძღვანელის უარის საფუძველს, ან/და უარის განაცხადის ვადა შეუძლებელს ხდის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას და მის მიერ მოვალეობის შესრულებას, ხელმძღვანელი ვალდებულია გააგრძელოს და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.
პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ინტეგრირებულია ინდივიდუალური კვლევითი პროექტის შესრულება და მისი საჯარო პრეზენტაცია. ინტერვიუირების პორცესში, სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ აღინიშნა, რომ სტუდენტებთან სამაგისტრო თემის დამუშავების პროცესში მუშაობა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, ონლაინ სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ყველა საჭირო რესურსით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება.
აღსანიშნავია, რომ "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის" შესახებ დოკუმენტის შესწავლის და გაანალიზების საფუძველზე, დადგინდა რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს, თუ რამდენი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ პროფესორს ერთდროულად. ვიზიტის დროს, ინტერვიუირების პროცესით, გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო თემის დამუშავების პროცესში უმეტესწილად დაბრკოლებას სტუდენტთა ენობრივი ბარიერი(ინგლისური ენა) წარმოადგენს. აღნიშნულის შედეგად, სტუდენტები სათანადოდ ვერ ეცნობიან უცხოენოვან წყაროებს და სრულფასოვნად ვერ იყენებენ მათ კვლევის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები(CV),
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები.

○

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების

| |
|---|
| ინსტრუქციის შესაბამისად წესი, რომლის მიხედვით დადგინდება - პროფესორს, რომელიც სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებაში ხელმძღვანელობს, ერთდროულად რამდენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | V | | | |

### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
| --- |
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში „არტჟურნალისტიკა “ ჩართულ პერსონალს გააჩნია სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაცია როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული კუთხით, რაც მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამა თანაბრად მოიცავს როგორც სოციალურ, ასევე სახელოვნებო კომპონენტებს. ყურადსაღებია, რომ პერსონალის შერჩევისას ყურადღება კომპლექსურად ექცევა პედაგოგიურ, პრაქტიკულ (ჟურნალისტურ), შემოქმედებით და სამეცნიერო გამოცდილებას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პერსონალი, მათ შორის 8 აფილირებული აკადემიური პერსონალი. მოწვეული პერსონალის რაოდენობაა - 7. პროგრამის აქტიური სტუდენტების რაოდენობა 6-ია, ხოლო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 18. შემოწმების პერიოდში პროგრამას ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე 6 სტუდენტი. ეს თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის ჯეროვან წარმართვას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ძირითადად წარმოდგენილია დარგობრივი მიმართულების სპეციალისტებით. ასევე, პროგრამას ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე მაგისტრატურის ნაშრომების 4 ხელმძღვანელი.

პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს აქვს ერთგვარი ჟურნალისტური სახელოსნოს ფორმა, სადაც სტუდენტები მჭიდრო კონტაქტში არიან როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე მოწვეულ ლექტორებთან. პროფესურა სტუდენტებში ავტორიტეტით სარგებლობს და ისინი ასეთი სახის თანამშრომლობით კმაყოფილებას გამოთქვამენ. გარდა ამისა, ბევრი პროფესორი არის შესაბამისი სასწავლო საგნის სახელმძღვანელოს ავტორი, რომლებსაც სხვა უსდ-ებიც იყენებენ.

აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში, რაც ძირითადად ასახულია ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებითა და ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებით. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი სამეცნიერო აქტივობების ზრდას, განსაკუთრებით საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნებას და აქტიურად გააგრძელოს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია 13 ნაშრომი და 18 მოხსენება კონფერენციებში, შესაბამისად ყურადღებას მოითხოვს აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გააქტიურება.

პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ მათ გააჩნიათ პროგრამის ჯეროვნად წარმართვის კომპეტენცია და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის მრავალწლოვანი გამოცდილება. გარდა ამისა, აქვთ, ასევე, პრაქტიკული საქმიანობის დიდი გამოცდილებაც, რაც, ერთის მხრივ, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირების წინაპირობაა, მეორე მხრივ კი სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფის საწინდარი.

პროგრამას ემსახურება 5 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. სტუდენტები სრულად უზრუნველყოფილნი არიან საჭირო კომპეტენციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რაც სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების

| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
|---|
| • საგანმანათლებლო პროგრამა<br>• გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.<br>• პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები<br>• სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება (უკანასკნელად ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე 15.12.2017, ოქმი № 21);<br>• სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს, დადგენილება #18/1);<br>• პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV), ნაშრომების სია და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;<br>• პერსონალის დატვირთვის სქემა;<br>• პერსონალის ყოველწლიური ანგარიშები |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2** აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შესაბამისად. ხარისხის სამსახური რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. ასევე, აკადემიური პერსონალი რეგულარულად წარუდგენს ხარისხის სამსახურს ინდივიდუალურ ანგარიშებს გაწეული სამეცნიერო სამუშაოს შესახებ. საბოლოო ჯამში კი ამ ინფორმაციის ანალიზს ახდენს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და ასახავს შეფასების შედეგებს განვითარებისა და ხელშეწყობის პოლიტიკის დაგეგმვისას.
გარდა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პროექტებისა და ღონისძიებებისა, უსდ უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას კონფერენციებში მონაწილეობის, პუბლიკაციების და სხვა სამეცნიერო-სასწავლო აქტივობების დაფინანსების გზით. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციას სახელწოდებით „ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენცია“, რომლის საფუძველზეც გამოიცემა ყოველწლიური გამოცემა სახელწოდებით „ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული“. ამას გარდა, უსდ გამოსცემს ყოველკვარტალურ სამეცნიერო ჟურნალს სახელწოდებით „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუირებისას გამოჩნდა, რომ ისინი არიან ინფორმირებულნი და საკმაოდ აქტიურად ჩართულნი როგორც კონფერენციის საქმიანობაში, ასევე აქტიურად აქვეყნებენ სტატიებს გამოცემებში.
გარდა ამისა, უსდ ატარებს ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას და გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო კრებულს, ატარებს ტრენინგებს და ჩართულია ერაზმუს + საერთაშორისო პროექტში, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია პედაგოგების და სტუდენტების ტრენინგები. უსდ ასევე უზრუნველყოფს ტრენინგების, დისტანციური შეხვედრებისა და გამოცდილების გაზიარების სესიების ორგანიზებას პერსონალისათვის.

ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ პერსონალი ინფორმირებულია ამ ღონისძიებების შესახებ და აქტიურად მონაწილეობენ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში ჩართული პირების ნაშრომების ნუსხები;
- აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური ანგარიშები;
- მიმართულების აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის მონაცემები;
- სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე განხორციელებული სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებების ყოველწლიური ნუსხები;
- ინსტიტუციური განვითარების პროექტი CONNECT (CBHE ERASMUS+, Connecting universities and enterprises through Smart Entrepreneurship activities in Moldova, Georgia and Armenia);
- ყოველწლიური ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენციების პროგრამები, კრებულები -http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=conf_samec
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამა ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, მის პირველ და მეორე კორპუსებში. პროგრამის განკარგულებაში არსებული ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებს და პერსონალს ხელი მიუწვდება ყველა საჭირო სათავსოებსა და ტექნიკაზე, რაც პროგრამის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს.<br>ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ პროგრამას აქვს საკუთარი ტელევიზია, რაც პრაქტიკული სამუშაოსთვის მნიშვნელოვანი აქტივია. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვით გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად სარგებლობენ ამ აქტივით. ტელევიზიას აქვს რამდენიმე სტუდია, მათ ნაწილში დათვალიერებისას მიმდინარეობდა რემონტი, რომელიც დასრულების ფაზაში იყო. ტელევიზია და სტუდიები სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო აპარატურით.<br>ფარგლებში, ექსპერტთა მიერ უსდ-ს საბიბლიოთეკო სივრცეში პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის მოძიებისას, ზოგიერთი სახელმძღვანელოს ბეჭდური ვერსია ვერ მოიძებნა, ამას გარდა, იგივე პრობლემა აღინიშნება ელექტრონულ ბაზაშიც. წინამდებარე საკითხის შესახებ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში - დაწესებულების საბიბლიოთეკო ბაზებზე, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია; უსდ-ს საბიბლიოთეკო ბაზებზე, სრულად არ არის ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოები - რაც პროგრამის ძირითად ლიტერატურას წარმოადგენს. პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის პასუხი იყო, რომ სახელმძღვანელოები გამოწერილია და გამოგზავნილია, ხოლო ელექტრონული ბაზა განახლების პროცესშია და უახლოეს მომავალში პრობლემა |

| |
|---|
| აღმოიფხვრება. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის - უსდ-მ უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკაში, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა.<br>უნივერიტეტს აქვს საკუთარი ვებგვერდი, ფეისბუკგვერდები და პერიოდული ბეჭდური ორგანო, რასაც სტუდენტები ასევე აქტიურად მოიხმარენ პრაქტიკულ სამუშაოში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• უსდ-ის შენობების დათვალიერება, შეხვედრა აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან.<br>• უნივერსიტეტის უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი ფოკუმენტები/ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>• ინვენტარიზაციის შედარების აქტი;<br>• შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ანგარიშ-ფაქტურები;<br>• საბიბლიოთეკო რესურსი;<br>• სასწავლო ტელევიზია - TAFU TV;<br>• ვებ.გვერდი - tafu.edu.ge;<br>• საქართველოს შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტის ფეისბუქ გვერდი;<br>• გამომცემლობა „კენტავრი“;<br>• სამეცნიერო შრომების კრებული - „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“;<br>• გაზეთი „დურუჯი“. |
| რეკომენდაციები:<br><br>საბიბლიოთეკო ბაზა შეივსოს სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში მითითებული სახელმძღვანელოების ბეჭდური ვერსიით. პრობლემა აღმოიფხვრას უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაშიც. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის |

| |
|---|
| შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✔ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>უსდ-ს გააჩნია დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომლებიც რისკების ნაყოფიერად მართვის საშუალებას იძლევა. უსდ-ის შემოსავლები მოიცავს სწავლის საფასურის, სახელმწიფო გრანტის, ეკონომიკური საქმიანობიდან და სხვა შემოსავლების სახით მიღებულ ფინანსურ რესურსებს.<br>სსიპ - - საქართველოს შოთა რუსთაველისთეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ფინანსდება საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ წლიური ასიგნებით დაახლოებით 3 მლნ ლარის ოდენობით, მისი შემოსავალი კი შეადგენს 1,3 ლარს წელიწადში. ორივე ეს კომპონენტი, ჯამში, იძლევა პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. 2019-22 წლებში დაგეგმილია შემოსავლების ზრდა 9-12%-ით.<br>უსდ-ში არის მენეჯმენტის სათანადო სისტემა. მართვას ახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები.<br>არტჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება უსდ-ის ბიუჯეტიდან. უსდ-ს გააჩნია საკმარისი ფინანასური რესურსები ამ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის |

| |
|---|
| ფაკულტეტის ბიუჯეტი.<br>• ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✔ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახურის ძირითადი ამოცანებია: უნივერსიტეტის აკადემიური, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება საქმიანობის სრულყოფის მიზნით, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, აკადემიური, ადმინისტრაციული თუ მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება, უნივერსიტეტში ბოლონიის პროცესის პრინციპების დანერგვა და განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრასმების აკრედიტაციის პროცესების ორგანიზება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას.

უსდ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: დაინტერესებული პირების - სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა. სამსახური ასევე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყოველწლიური სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასებას, რომელიც ხორციელდება სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანალიზის საფუძველზე. შეფასება ხორციელდება გამოკითხვების, სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდული მონიტორინგისა და კოლეგიალური შეფასებისაგან, მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად.
პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.
„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის ფარგლებში, რეკომენდირებულია მეტად იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის აკრედიტაციაზე გაგზავნამდე პროგრამის თანმხლები დოკუმენტაციის შესაბამისობა (სააკრედიტაციო პაკეტში სხვა პროგრამის შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობა), ტექნიკური ხარვეზებისა და ფაქტობრივი უზუსტობების აღმოფხვრა და ასევე, მიზანშეწონილია გადამოწმებული იქნას უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში ან/და ბიბლიოთეკაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მასალების ხელმისაწვდომობის საკითხიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი და შეფასების ინდიკატორები
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა (2020-2021)
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზის ანგარიშები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://www.tafu.edu.ge/wm.php
- ინტერვიუს შედეგები

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნას სააკრედიტაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა, სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზების გასწორება და უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში ან/და ბიბლიოთეკაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მასალების ხელმისაწვდომობის საკითხი. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✔ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის დაინტერესებული მხარეების შეფასებასა და გარე ექსპერტის შეფასებას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „არტჟურნალისტიკა“ ფარგლებში გამოყენებულ იქნა გარე ხარისხის შეფასების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვა და საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა. მიღებული რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით. გარდა ამისა, უსდ-ს გარე შეფასების ერთ-ერთი მექანიზმია საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს აუდიტი.<br>განვითარების ციკლის უწყვეტობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „არტჟურნალისტიკა“<br>• საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება<br>• სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზის ანგარიშები<br>• გამოკითხვის შედეგები<br>• გარე ექსპერტის შეფასება<br>• პროგრამის შემუშავების ამსახველი ოქმები<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://www.tafu.edu.ge/wm.php<br>• ინტერვიუს შედეგები |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლის, ფაკულტეტზე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ხარისხის შეფასებისა და აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების პროფესიული მომზადების შეფასების მიმართულებით. შეფასებისა და განვითარების მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. პროგრამის ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით, ხორციელდება სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგიალური დასწრების საშუალებით, ასევე, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს და ხდება სასწავლო კურსისთვის დადგენილი მიზნობრივი ნიშნულის და ფაქტობრივი შედეგების ანალიზი. ამასთან, ხორციელდება პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლისა და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიმართულებით, ინდივიდუალური ანგარიშის წარდგენის ფორმით. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტევიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება.

სამაგისტრო პროგრამა „არტჟურნალისტიკა" გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით გაზიარებულ იქნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორთან. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა, შედეგები და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე აქცენტირება შეფასდა დადებითად და დაიმსახურა პოზიტიური გამოხმაურება. გარდა ამისა, უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება ადგილობრივი ანალოგი პროგრამების შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამის დადარება საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება. პროგრამის თავისებურება გახლავთ ის, რომ მას არ აქვს ანალოგი საქართველოში და შესაბამისად ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დიდია მოთხოვნა და გამოხმაურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მიმართ. საგანმანათლებლო პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილებაც, სადაც არა მხოლოდ პროგრამები, ამ პროფილის ფაკულტეტებიც არსებობს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „არტჟურნალისტიკა"
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- არტჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის გამოხმაურება - გარე კოლეგიალური შეფასება
- ინტერვიუს შედეგები (თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://www.tafu.edu.ge/wm.php

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✔ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:**

არტჟურნალისტიკის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:57**

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | V | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ხათუნა კაჭარავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სოფიო კილასონია

თამთა ცხოვრებაძე

თათია უბერი

მალხაზ გაგუა